ოთხშაბათი, 1918 წ. ივნისის 12 № 115

ყოველდღიური გაზეთი

ოთხშაბათი, 1918 წ. ივნისის 12 № 115

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე, წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოდ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

კონტორა

პირველ აპრილიდან ხელის მოწერის ფასი [illegible] თვით და [illegible]—18 მ. თვეში (წლიურად ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ცნობები:

გერმანელები დასავლეთ ფრონტზე შეტევას განაგრძობენ. ხელთ იგდეს მთელი რიგი პოზიციებისა, ქალაქების და სოფლების. ტყვედ წაიყვანეს 8000 კაცი, მრავალი ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები. ბოლანდში (იტალიაში) თოფის წამლის ქარხანა აფეთქდა, მრავალი მოკლულ-დაჭრილია.

თავზარდაცემული მეუღლე ოლღა, შვილები სონა და მიშა, რძალი დარიკო ხერხეულიძენი და სიძე ილუშა დავითიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელის

ზურაბ (საშა) დიმიტრის ძის

ხერხეულიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე (ნაძალადევი, პეტროვსკი ქ., 27). გამოსვენება ხუთშაბათს დილის 10 საათზე, დასაფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 3—2

ღრმად დამწუხრებულნი: სიდედრი მარიამი, ძმა ვასილი ოჯახობით, და, ლიზა, ცოლის ძმა კოტე კეკელიშვილი და ცოლის და ანნა ელიოზიშვილისა ოჯახებითურთ და კირილე მგალობლიშვილი მეუღლით გულმოკლულნი აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავებს ძვირფასი

ზურაბ (საშა) დიმიტრის ძის

ხერხეულიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე. გამოსვენება ხუთშაბათს. (3—2)

ღრმად დამწუხრებული ძმები გრიგოლ და ალექსანდრე ალექსანდრეს ძენი და მათი ანიკო, სიძეები სიმონ ილიას ძე მაჩაბელი სახლობით, ივანე ონისიმეს ძე იოსელიანი სახლობით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი დაუვიწყარი დისას, მეორენი ცოლის დისას

სოფიო ალექსანდრეს ასულის

ფავლენიშვილისას

წირვა და ანდერძი მოეგება კარის წმინდა გიორგის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 ს. 12 ივნისს, დაკრძალვა კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე 1—1664—1

მარიამ სოლომონის ასული, ნიკოლოზ იაკობის ძე, ვალენტინა ალექსის ასული და ვასილი ნიკოლოზის ძე ვაშაძენი, ოლღა ნიკოლოზის ასული და ანასტასია ნიკოლოზის ასული ახოტნიკოვები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ, რომ ნახევარ წლის თავზე ტრაგიკულად გარდაცვალებულ შვილის და ძმის ვოლნოოპრედელიაიუშჩის

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ვაშაძის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება წირვა კუკიის სასაფლაოს ეკლესიაში, ხოლო პანაშვიდი გარდაცვალებულის საფლავზე, 12 ივნისს (30 მაისს) 1—1

პირველ ქართველ ცხენოსანთა პოლკის კომანდირი და ოფიცრები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 10 ივნისს სადგურ სანდარში მოწინააღმდეგესთან ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა ტყვიისმფრქვეველთა რაზმის ჯარის კაცი

შიო ციცქიშვილი

1—1653—1

ივანე (ვანო) სოლომონის ძე ჯაფარიძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 13 ივნისს (ახალი სტილით) დილის 11 საათზედ კუკიის წმ. ნინოს ტაძარში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის დაუვიწყარი ქალიშვილის

თინასი

2—1

პირველ ქართველ ცხენოსანთა პოლკის ტყვიის მფრქვეველთა რაზმის უფროსი და ჯარისკაცები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ 10 ივნისს სადგურ სანდართან ბრძოლაში მოკლულ იქნა ჯარის კაცი

შიო ციცქიშვილი

1—1653—1

უკანასკნელი ამოძახილი

უხვად და დაუზოგველად გვაჯილდოებს დღევანდელი პოლიტიკური წყობილება უცნაურ მოვლენებით. მათ შორის აღსანიშნავია ერთი სულ უკანასკნელი წუთების მოვლენა, რომელიც მეტად გარკვეულად და მკაფიოდ ახასიათებს იმ ელემენტებს, რომელნიც წელიწადზე მეტია სათავეში ამოუდგნენ პოლიტიკურ ცხოვრებას და დემოკრატიის მესვეურობას იჩემებენ.

ცენტრში მოკალათებულ ზოგიერთი სუბიექტების სულისკვეთება ჩვენთვის აშკარა იყო ყოველთვის; ღრმად დარწმუნებული ვიყავით, რომ დემოკრატობაც და სოციალისტობაც ამ ვაჟბატონებისათვის სავალდებულოა იმდენად, რამდენადაც გამოიხატება უთავოდ და მასთანავე უთავბოლო რევოლუციებში, ხოლო როდესაც საკითხი პრაქტიკულ განხორციელებას თხოულობს, სოციალისტური საბჭოები დაუფარავი სიმორალით ეწინააღმდეგებიან ხალხის ერთსულოვან სურვილს.

საქართველოს სახელმწიფო და მისი მმართველობა რვა ივნისის საღამოს საბრალდებულო სკამზე დასვა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ცენტრმა. სხდომის ანგარიში არ გვინდა გადმოვცეთ მკითხველებს: ან რა საჭიროა ქართველი საზოგადოებისათვის იმისი მოსმენა, როგორა ჯიჯგნიდნენ ჯგუფები და ძმანი მისნი საქართველოს სახელმწიფოს დამცირების საქმეში, ან იგივე ჯგუფის მიერ სახელწოდება საქართველოს ეროვნულ საბჭოისა „იგრეთ წოდებულ პარლამენტად", რომლის სიცოცხლეს ამ ქარბუქიან ორატორმა დღეებიც კი დაუთვალა!

ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: საქართველოს სახელმწიფოში სუვერენიტეტი ეკუთვნის ქართველ ხალხს და იმ უცხო მოდგმის ტომებს, რომელნიც სცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და ჰქვეშევრდომობენ ამ სახელმწიფოს. შეუსაბამოა და შეუწყნარებელი იურიდიულ-სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით, რომ უცხო სახელმწიფოების მოქალაქენი და ქვეშევრდომნი საქართველოს მართვა-გამგეობის საკითხებში ერეოდნენ და მსჯელობდნენ მთავრობის კონსტრუქციის შესახებ.

ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ შეხვდნენ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას თბილისში დაბინავებული სხვადასხვა უცხო ხალხთა სოციალისტური და არა სოციალისტური დაწესებულებანი,— მტრული განწყობილება ჩვენდამი აშკარაა. ეს ხალხი არ ერიდება არავითარ საშუალებას, რომ არეულ-დარევა და ანარქია გააძლიერონ ჩვენს მიწა-წყალზე და ისარგებლონ ხელსაყრელ პირობებით საქართველოს დასაუძლურებლად. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს განხეთქილება შეაქვთ ქართველ დემოკრატიაში და მას საქართველოს უმაღლეს დაწესებულების წინააღმდეგ ამხედრებენ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გონიერი ნაწილი ქართველი მუშებისა არ წამოეგება პროვოკატორების ანკესზე! გათვითცნობიერებული საქართველოს ხალხი ერთგულობას შეჰფიცავს დამოუკიდებელ სახელმწიფოს! სოციალისტურ ქუდქვეშ გამოხვეული ყველა ჯურის იმპერიალისტები საწადელს ვერ მიაღწევენ და ვერ ეღირსებიან საქართველოს დამხობით დიდი რუსეთის აგებას.

ცენტრის უკანასკნელ სხდომამ ერთხელ კიდევ დაგვანახვა ამ დაწესებულების შეუფერებლობა და გამოუსადეგრობა რადიკალად გარდაქმნილ ცხოვრებისათვის. საქართველოს სახელმწიფოს არ ესაჭიროება ინტერნაციონალი ორგანოს დახმარება.

საქართველოს სახელმწიფოს და ეროვნულ ცენტრის გინებას კრებაზე დამსწრე ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე დუმილით შეხვდა, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ხალხი ნებას არ მისცემს ყოველ გამვლელსა და გამომვლელს ჭუჭყიანი ხელები აფათუროს ერის წმიდათაწმიდაში.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია და ჩვენი სოციალ-დემოკრატია

ამბობენ, გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ გერმანიის სამხედრო გამარჯვებას არა თუ ხელი არ შეუშალა, არამედ ხელი შეუწყო და მაშასადამე რუსეთისა და საქართველოს დანგრევა სოციალისტური ტაქტიკის შედეგი არ არისო.

მაგრამ გერმანიის სოციალ-დემოკრატია სოციალისტურ ბრძოლას მშვიდობიანობის დროსაც კი არ აწარმოებდა, არა თუ მსოფლიო ომის დროს და მის ბელადებს სოციალური რევოლუცია კი არა, უბრალო სოციალური რეფორმების განხორციელებაც კი მიუწვდომელ შეცდომად მიაჩნიათ ამ სისხლის წვიმების დროს.

ზომბარდტი ამბობს: საფრანგეთის სოციალისტურ მოძრაობას თუ რევოლუციური ტაქტიკა ახასიათებს, გერმანიის სოციალ-დემოკრატია—პარლამენტური პარტია არისო.

მაგრამ სოციალიზმის განხორციელება, თუ კი ცხოვრებაში ამისთვის ნიადაგი არ არის, პარლამენტის საშუალებით, რასაკვირველია, შეუძლებელია.

დიახ! როდესაც გერმანიის სოციალ-დემოკრატიას სოციალიზმის განხორციელების საშუალებად საპარლამენტო ბრძოლა მიიჩნია, მან ამით სოციალიზმი უარჰყო.

გვეუბნებიან, გერმანიის სოციალ-დემოკრატიას შესანიშნავი ორგანიზაცია აქვს, რომელმაც მხედრობას დიდი სამსახური გაუწიაო.

მაგრამ თანამედროვე სოციალისტურ ორგანიზაციებს ისეთივე ხასიათი აქვსთ, როგორიც ბურჟუაზიულ ორგანიზაციებს, ე. ი. ხსენებული ორგანიზაციები წევრთა თავისუფალ კავშირებს წარმოადგენენ და პიროვნების თავისუფლებას არ ავიწროებენ. მაშასადამე თანამედროვე სოციალისტური ორგანიზაციები—ლიბერალურ საფუძველზე აშენებული არიან, რომელიც სოციალისტურ იდეალს სრულიად არ შეესაბამება.

და, უეჭველია, როგორც კი სოციალისტები სულ ერთია, გერმანიის, საფრანგეთის თუ ინგლისის—სოციალისტური სისტემის განხორციელებას მოინდომებენ, მათთვისაც ისეთივე კრიზისი დადგება, როგორც რუსეთისა და ჩვენს სოციალ-დემოკრატებს თავს დაატყდათ.

სოციალიზმი ლიბერალიზმს, ე. ი. პიროვნების, თავისუფლებისა და კერძო საკუთრების პრინციპს, ვერ ურიგდება და ძველს, არქაულ სოციალურ ორგანიზაციებს მოგვაგონებს.

შეადარეთ, მაგალითად, თანამედროვე საწარმოო თუ სავაჭრო ამხანაგობანი პირველყოფილს კომუნურ ამხანაგობათ. თანამედროვე ამხანაგობანი—კერძო საკუთრებისა და პიროვნების თავისუფლების საფუძველზე აშენებული არიან. პირველ ყოფილ კომუნაში კი კომუნის უფროსს ნება ჰქონდა გაეყიდა კომუნის წევრი და, ასე გასინჯეთ, კიდევაც მოეკლა.

ამგვარი დისციპლინა მაშინ, როდესაც მიწას სარებით ჩიჩქნიდნენ და ინდივიდური, განმარტოებული მუშაობა არ შეიძლებოდა, საჭირო იყო.

მეორე მაგალითი უფრო მაღალი სოციალური საფეხურიდან. ძველ სპარტაში ლიკურგმა კომუნური წესი დააკანონა, რომელმაც სპარტელთა ცხოვრება სამხედრო ბანაკის ცხოვრებას დაამსგავსა.

მიწების ერთი ნაწილი გაბატონებულ დორიელებს დაურიგა და 9.000 თანასწორ ნაწილად გაჰყო, მეორე ნაწილი კი პოლიტიკურ უფლებათა მოკლებულ პერიეკებს (30.000 ოჯახს) მიუზომა. და, თანასწორობა რომ არ დარღვეულიყო, უმცროს ძმას ცოლის შერთვის უფლებაც კი წაართვა. იმავე დროს უფროსი ძმის ცოლის სარეცელი ზიარი იყო.

ველი, ექვსი წლის რომ შეიქნებოდა, პანსიონში ეგრეთწოდებული პედაგოგის ხელმძღვანელობით იწვრთნებოდა.

18 წლის ყმაწვილს, რომელიც პანსიონიდან გამოდიოდა, კიდევ ზედამხედველი ჰყავდა (30 წლამდის).

ყმაწვილს უფროსი, ხანში შესული მეგობარი უნდა ჰყოლოდა.

უმთავრესად სამხედროსა და სამამაცო ხნეობას ასწავლიდნენ. ქალებსაც ამგვარადვე ზრდიდნენ.

თვითეული სპარტელი, 20 წლის რომ შეიქნებოდა, თუ უნდოდა სრულუფლებიანი მოქალაქე ყოფილიყო, ერთად მოსადილეთა ამხანაგობაში უნდა შესულიყო (თვითო ამხანაგობა 15 კაცისაგან შესდგებოდა).

ფუფუნება აკრძალული იყო, სახლის აშენებისათვის ცულისა და ხერხის გარდა არავითარი სხვა იარაღი არ უნდა ყოფილიყო ხმარებული.

ცხადია, ხსენებული სოციალური ორგანიზაციის შედეგი იყო, სპარტელნი (დორიელნი) რომ დიდ ხანს ებრძოდნენ ქვემო ევროპის ბარის მცხოვრებთ—აქეელთ, და მაშასადამე სამხედრო მდგომარეობას შეესაბამებოდა.

რამდენად უფრო ავიწროებდენ მწარმოებელს საშუალ საუკუნეთა სახელოსნო ამქრები, ვიდრე ახლანდელი კოოპერატივები!

თანამედროვე სოციალურ ორგანიზაციებს, როგორც ვთქვით, ლიბერალური სისტემა უდევსთ საფუძვლად. მწარმოებელი საკუთარი ინიციატივის, თავისუფალი მოქმედების შევიწროებას ვერ ითმენს. შრომის თავისუფლება კი—ეკონომიური წინსვლისა და, მაშასადამე, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების წყარო.

ეს იყო მიზეზი, რომ აუარებელ სოციალისტურ კომუნათა შორის, რომელნიც წარსულ საუკუნეში ამერიკასა და ავსტრალიაში დაარსდნენ, დღეს მხოლოდ სარწმუნოებრივი ხასიათის კომუნები დარჩნენ. საკვირველიც არ არის: სოციალისტური კომუნა—მონასტერია, რომელშიაც პიროვნების მეობა უარყოფილია. და სოციალისტურ-კომუნური წესი დღეს მხოლოდ სამხედრო ბანაკშია. მოგეხსენებათ, რომ ჯარი—ერთი ორგანიზმია და, თვითეულმა ჯარისკაცმა რომ დამოუკიდებლად იმოქმედოს, ამის შედეგი—სრული დეზორგანიზაცია და დაშლა იქნება.

აღსანიშნავია, რომ უდიდესი სოციალისტ-კომუნისტები, როგორც ძველ დროს, აგრეთვე საშუალსა და მეცხრამეტე საუკუნეებში სასტიკს სახელმწიფოებრივსა და იერარქიულ დისციპლინასა და ძალდატანებას აღიარებდენ და, მაგალითად, ბაბეფი და მარქსი სხვა სიტყვებით თითქმის იმასვე ამბობდენ, რასაც პლატონ-ბრძენი და კამპანელა.

მაგრამ მეცნიერულმა კვლევამ ევროპის სოციალისტები წმინდა სოციალისტური თვალთახედვისაგან თანდათან განთავისუფლა და, მაგალითად, კაუტსკი, ეს მართლმადიდებელი მარქსისტი, მიწის მოქმედებაში ლიბერალურ სისტემას აღიარებს.

მისი აზრით მიწის მოქმედების განვითარებისათვის მსხვილი მეურნეობაც საჭიროა და წვრილიც! საბაღოსნო მეურნეობაც და ლატიფუნდიებიც, დაქირავებული მუშაც და დამოუკიდებელიც.

ედუარდ დავიდი, რომელიც წვრილ სამეურნეო მოსახლეობას აქებს და სამეურნეო კოოპერაციებში ეძებს ხსნას, ამბობს: კომუნისტურ-სოციალისტური სამეურნეო მოსახლეობა—შეუძლებელია. ჩვენმა სოციალდემოკრატიამ დაივიწყა კაუტსკისა და ედუარდ დავიდის [illegible] და ისეთი შემავიწროებელი მიწის დეკრეტი გამოსცა, რომელმაც გაუმჯობესებულ სამეურნეო მოსახლეობით ბოლო მოუღო.

ამ დეკრეტის ძალით, ვინაც, მაგალითად, მევენახეობას მისდევს, შვიდ დესეტინაზე მეტი არ უნდა ჰქონდეს, ვისაც შერეული სამეურნეო მოსახლეობა აქვს, მისი მამული ცხრა დესეტინას არ უნდა აღემატებოდეს, და, ვინც სახორბლეულო მეურნეობას აწარმოებს,—თუთხმეტი დესეტინის მეტი არ უნდა ჰქონდეს.

მაგრამ ჩვენში ჯერ ისეთი მდიდარი ბაზარი არ არის და არც სამეურნეო შრომაა ისე განაწილებული, რომ მეურნე მარტო მევენახეობით ცხოვრობდეს. და თუთხმეტ დესეტინაზე წესიერი მცენარეთა შეცვლითი ინტენსიური მეურნეობა განა შესაძლებელია?

ეს კიდევ არაფერი! დღეს რომ თვითო მოსახლეს შვიდ-შვიდი ან თუთხმეტ-თხუთმეტი დესეტინა დავუტოვოთ, ერთის ან ორი თაობის შემდეგ ხომ სამის ან ორი დესეტინის მეტი აღარ ექნებათ?! მაშინ ხომ შეუძლებელი და შეიქნება განვითარებული მეურნეობის წარმოება?! სამეურნეო მოსახლეობათა მეტისმეტი დაკუწვა რომ არ მოხდეს, ახალი კანონის გამოცემა დასჭირდებათ, რომ მიწის თავისუფალი განკარგულება შეზღუდონ, ან შეიძლება ძველ სპარტანელებივით უმცროს ძმებს ცოლის შერთვა აუკრძალონ: ერთს შევიწროებას თან მოჰყვება მეორე შევიწროება.

მაგრამ ჩვენი მიწის მოქმედნი, უეჭველია, ამ შემავიწროებელ კანონს ვერ შეურიგდებიან და მის განხორციელებას შეუძლებელ ჰყოფენ.

ამის ნიშნებს უკვე ვხედავთ. მიწები მხოლოდ ყოფილ თავადთა და აზნაურთ ჩამოართვეს, გლეხებს კი არ შეხებიან და, თუ ოდესმე შეეხებიან, უეჭველია, სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდებიან.

ამგვარად ხსენებული მიწის კანონი, როგორც უარმყოფელი კერძო საკუთრებისა და ლიბერალური საწარმოო სისტემისა, საშინელ ანარქიას გვიქადის.

გერმანიის სოციალდემოკრატია ამ სასიკვდილო-სასიცოცხლო ბრძოლაში ეგრეთ წოდებულ ბურჟუაზიას მხარში ამოუდგა, კლასთა ბრძოლას აღარც სიტყვითა და აღარც საქმით აღარ აწარმოებს და მაშასადამე ლიბერალურ სისტემას დროებით მაინც სავსებით შეურიგდა.

ჩვენი სოციალდემოკრატია კი იმის და მიუხედავად, რომ სამშობლო განსაცდელშია, უკიდურეს კლასთა ბრძოლას აწარმოებდა და აწარმოებს და მემამულეთა და ვაჭარ-მრეწველთა წინააღმდეგ ისეთი სასტიკი ზომები იხმარა, რომ საშინელი ეკონომიური კრიზისი შექმნა და ამ ბრძოლამ ისე ჩაითრია, რომ სამოქალაქო, პარტიული განხეთქილება ჯარშიაც კი შეიტანა, სადაც, პირიქით, სასტიკი დისციპლინაა საჭირო, და მით სამშობლო განსაცდელში ჩააგდო.

ამგვარად გერმანიის სოციალდემოკრატია თანამედროვე ლიბერალურ სისტემას სავსებით შეურიგდა, ჩვენმა სოციალდემოკრატიამ კი ამ სისტემას ულმობელი ბრძოლა გამოუცხადა და მით ანარქია შექმნა.

მაშასადამე, განსხვავება გერმანიის სოციალდემოკრატიასა და ჩვენს სოციალდემოკრატიას შორის მეტად დიდია.

„იგი სხვაა ეს სულ სხვაა,
შუა უძევს დიდი ზღვარი".

ვახიდ წერეთელი

პოლიტიკური მესაფლავე

ამ ერთს თვეში ჩვენ გავხდით მოწმენი ორი დიდი პოლიტიკური გასვენებისა.

26 მაის დიდი ზეიმით დამარხეს ამიერ-კავკასიის სეიმი.

მაშინ დიდი ცერემონიები იყო და გარეგნული კრძალვა—მორიდება: განსვენებულს ყველა საუკუნოდ ეთხოვებოდა. ყველა ჰგრძნობდა, რომ მისი დაბრუნება ისევე ძნელი იქნებოდა, როგორც ძნელი გახდა მისი გარდაცვალება.

შაბათს 8 ივნისს უფრო ნაკლების ზეიმით დაესვა ჯვარი ამიერ-კავკასიის „საბჭოთა" ცენტრსაც.

ორივე მიცვალებულს ასაფლავებდა, ერთი და იგივე პირი:

ირაკლი წერეთელი.

უნდა გამოვტყდეთ, რომ იგი შესანიშნავი მესაფლავე გამოდგა.

თუმცა იგი მიეჩვია ამ თანამდებობას: არც ისე დიდი ხანია, რაც ის ეთხოვებოდა რუსეთის ფრონტის გაერთიანების იმედებს.

არა ნაკლების თავდადებით იცავდა ის შემდეგ ამიერ-კავკასიის ერთიანობას, მაგრამ თვითვე დადო უკანასკნელი ქვა ამ „ერთიანობას".

გუშინ წინ დაეცა უკანასკნელი სიმაგრეც და მე მინდა რომ წერეთელი ყოფილიყოს უკანასკნელად ამ პროცესიებში, თორემ ის უკვე მოვიდა საქართველოს კარამდის და აქ სხვა-რამისათვის იქნება საჭირო მისი ამგვარი ნიჭი.

წარსულ საფლავების [illegible] კი მას ბევრი აქვს [illegible].

უკანასკნელი მიცვალებული მეტად ქირვეული იყო და ვინ იცის, ნამდვილად გამოეთხოვა იგი წუთისოფელს თუ არა?

მე მაინც გულიდან არ მშორდება ვალიკო ჯუღელის სიტყვები:

„როცა სეიმი იქმნებოდა, თქვენ გინდოდათ „საბჭოთა" სიკვდილი. სეიმი მოკვდა, მაგრამ „საბჭო" ცოცხალი დარჩა და ვინ იცის, იქნებ მან უფრო დიდი ხანი გასძლოს, ვიდრე „ეგრედ წოდებულმა" ქართულმა პარლამენტმა".

შეიძლება ეროვნული საბჭო „ეგრედ წოდებული" იყოს, მაგრამ მაშინ ჯუღელის „ცენტრი" ან [illegible] სულ ცუდად იქნება წოდებული, რადგან მეტად ძნელი იქნება მისი მემკვიდრეობის მოვლა თვითონ ქირისუფლებისთვისაც. განა ადვილია ერთს ტახტზე შესხმა ორ სახელმწიფოებრივი სხეულისა?

საქართველოს მთავრობისა და მის დაწესებულებათა და

მუშათა საბჭოს მთავრობისა და მის ორგანიზაციათა.

და ეს ორი სხეული კი სრულიად დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ აქამდე. იყო პარლამენტი—ეროვნული საბჭო; იყო მთავრობა მის წინაშე პასუხისმგებელი, თავისი ადმინისტრაციული აპარატით და

იყო მეორე პარლამენტიც—მუშათა საბჭო; იყო მისი მთავრობა, აღმასრულებელი კომიტეტი, საკუთარი ადმინისტრაციული აპარატით:

პროვინციული მუშათა საბჭოებით.

ეროვნულ მთავრობას ჰყავს საკუთარი ჯარი, მისი ხელმძღვანელი მთავარი შტაბი და მთავარსარდალი

გენერალური შტაბის გენერალი კვინიტაძე.

საბჭოს მთავრობასაც ჰყავდა თავისი ჯარი:

წითელი გვარდია, მთავარი შტაბი ამ გვარდიისა და მთავარ-სარდალი:

სტუდენტი ვალიკო ჯუღელი.

კვინიტაძის შტაბში ისხდნენ გენერლები, ოფიცრები და საზოგადოდ სამხედრო საქმის სპეციალისტები.

ჯუღელის შტაბში ისხდნენ:

საზღვრების გამიჯვნა და საინგილო

ტერიტორია სახელმწიფოს ერთი განუშორებელი ატრიბუტთაგანია. სახელმწიფოს კეთილდღეობა უპირველესად ყოვლისა დამოკიდებულია ტერიტორიის უზრუნველყოფაზე. ყოველი სახელმწიფო გარკვეულად უნდა შემოფარგლული იყოს საზღვრებით, რომლის შიგნით იგი სრულიად დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტისაგან გამომდინარე ძალაუფლებას.

როგორც „მეომარი ერთეული" ჩვენი სახელმწიფო აცხადებს თავისთავს გათავისუფლებულად და საზავო პრელიმინარული, წინასწარი ხელშეკრულება უკვე დასდო იმ სახელმწიფოსთან, რომელთანაც საქართველოს უკანასკნელ დროს მოუხდა პირისპირ შეჯახება, როგორც საერთაშორისო უფლებამოსილ დამოუკიდებელ ორგანოს. ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებმა, შესაძლებელია, საქართველოს ტერიტორიას არ მოაცდინონ სხვა სახელმწიფოების შეტაკება მის საზღვრებში, როგორც წინად ჰხვდა ბელგიას, მიუხედავად მისი „მუდმივი ნეიტრალობისა", მაგრამ, ცხადია ყოველს შემთხვევაში ის, რომ საქართველოს სახელმწიფო ამ ჟამად იურიდიულადაც და ფაქტიურადაც მსოფლიო ომის გარეშე დგას.

ტერიტორიის საკითხი საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანია: ჩვენი სამშობლო ისედაც მეტად მცირეა, ხოლო ახლა ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულებით უფრო შემცირდა მისი მიწა წყალი. გარდა იმ საზღვრებისა, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას და რომლის გამიჯვნა საქართველოსათვის მეტის-მეტად საზარალოდ გადასწყდა, საქართველოს სახელმწიფოს მთავრობა იძულებული შეიქნება სულ მოკლე ხანში სახელმწიფო საზღვრების შეკეთება შესწორებაზე იზრუნოს უმთავრესად აღმოსავლეთით,—იქ სადაც ჩვენი ადგილ-მამული ერთვის აზერბეიჯანის სამფლობელოს.

საზღვრებისა და ტერიტორიის გამიჯვნის საკითხში ჩვენში მოქმედ პოლიტიკურ მიმართულებებში და ლიტერატურაშიაც სხვადასხვა შეხედულება არსებობს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, არსებობდა. მათი განხილვა არ შეადგენს ჩემი წერილის საგანს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მკაფიოდ გამოთქმული იყო ორი ერთიმეორის საპირისპირო აზრი: სოციალისტური პარტიები საქართველოს ტერიტორიის საკითხს სწყვეტდნენ ეგრედ წოდებულ რეალ მოსახლეობის პრინციპით; მათის აზრით, ასეთი გადაჭრა საზღვრების გამიჯვნის საკითხისა უეჭველად დემოკრატიული და სამართლიანია. ამის მოწინააღმდეგე შეხედულება, საზღვრებისა და ტერიტორიის საკითხის გადაწყვეტაში ხელმძღვანელობს ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიური და სტრატეგიული მოსაზრებით. შეიძლება, პირველი სახით უფრო „სამართლიანი" იყოს, მაგრამ მისი განხორციელება მოითხოვს სწორედ საყოველთაოდ სამართლიანობის დამყარებას; ჯერ ხნობით კი, ვინაიდან სახელმწიფოთა ურთიერთობა აგებულია ისეთ სისტემაზე, რომელიც მოითხოვს შეიარაღებულ რეგულიარულ ძალის შენახვას და ციხესიმაგრეების აგებას, ჩვენ მოვალენი ვართ შესაფერი ზომები მივიღოთ და უკიდურეს ღონისძიებასაც კი მივმართოთ, რათა ჩვენს სახელმწიფოს და ერს მივცეთ საშუალება დაუბრკოლებელი განვითარებისა და წინსვლისათვის. ეს მიზანი მიღწეული იქნება, დადებით უკეთუ აღმოსავლეთით საზღვრების დადების დროს ქართ. გამოიჩენს სიმტკიცეს და შეუდრეკელ ნებისყოფას, უკეთუ ერის სასიცოცხლო ინტერესები სათანადოთ აამოქმედებენ პასუხისმგებელ დაწესებულებებს და საქართველოს განაპირა კუთხეების ბედის გადაწყვეტაში მხედველობაში არ იქნება მიღებული ყოვლად უსწორო და აბსურდული ვიწრო ეთნოგრაფიული თვალთსაზრისი. უცხო ტომთა შემდგომი ჩასახლება ჩვენს მიწა-წყალზე არავის აძლევს ნებას პრეტენზიები იქონიოს საქართველოს ტერიტორიაზე, რადგანაც ამ შემთხვევაში უცხო ხალხს კი არ მიაქვს გარეშე ტერიტორია, არამედ ტერიტორიაზე დაბინავება შემოსულ ხალხს თავით აკუთვნებს იმ სახელმწიფოს, რომლის სტუმართმოყვარეობით სარგებლობს იგი. მაშასადამე, სახელმწიფოებრივი შეგნება საკითხისა ცხად ჰყოფს რეალ მოსახლეობის დაცვის უსაფუძვლობას არსებულს პოლიტიკურსა და საერთაშორისო ვითარებაში. ქართველ ერს განგებამ დააკისრა სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეურყევლობის დაცვა და იგი უღირსი გახდება ამ დიადი მოვალეობისა, თუ ჯეროვნად არ გამოიყენებს ყველა ამ შემთხვევისათვის საჭირო საშუალებებს საქართველოს პოლიტიკურისა და სტრატეგიული სიძლიერისათვის.

ერთი იმ კუთხეთაგანი, რომელიც „სადავოდ" არის აღიარებული—საინგილოა, რუსეთის სახელმწიფოში ზაქათალის ოლქად წოდებული. ამ პროვინციაზე არა ერთხელ მიგვიქცევია ქართველი საზოგადოების ყურადღება ჩვენს გაზეთში და დაგვიმტკიცებია, რომ ისტორიულადაც და ბუნებრივადაც ძველი ჰერეთის ნაწილი ისე მჭიდროდ არის შეგუებული საქართველოსთან, რომ წარმოუდგენელია მათი განცალკევება. მაგრამ მრავალ მიზეზთა გამო საქართველო ამ ჟამად იძულებულია დასთმოს თვისი განუყრელი ნაწილები, როგორც, მაგალითად, ოსმალეთთან გადასული ხელშეკრულების ძალით მესხეთ ჯავახეთი. რა ბედი ეწვევა საინგილოს? საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში დარჩება, თუ შეუერთდება რომელიმე მომიჯნავე სახელმწიფოს—აზერბეიჯანს, ან მთიულეთს?

არსებობენ გარდუვალი დაბრკოლებანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეალების მისაღწევად, ხშირად მილიტარული სისუსტისა და შინაურ სოციალ პოლიტიკურ მოუწყობლობის გამო ერი იძულებული ხდება დაუთმოს მძლავრ მოწინააღმდეგეს სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილიც და სხვა არსებითი მხარენი სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებისა. ასეთს მძიმე პირობებში იმყოფება დღეს-დღეობით ჩვენი ქვეყანა, ამიტომ იძულებული ვიყავით დავსთანხმებულიყავით იმ ხელშეკრულებაზე, რომლის უსამართლობა და უკვალი მაგალითი საქართველოსათვის ყველასათვის აშკარაა და რომელსაც სხვა პირობებში ქართველობა არ მიიღებდა, მაგრამ დათმობასაც საზღვარი აქვს. რაკი დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, თავის თავად ცხადია, გათვალისწინებული უნდა გვქონოდა მოსალოდნელი სირთულე სახელმწიფოს აპარატის ხელთ აღებისა; ქართველი ხალხი ცრუ იმედებს არ ეძლეოდა და [illegible] არ ეგულებოდა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით თავიდანვე, რომ საკონფლიქტო მიზეზი ბლომად მოიპოვება და ნათლად გამოჩნდება პირველს დღეებშივე, როდესაც აღიძრება საკითხი საზღვრების გამიჯვნის შესახებ. ამ მოვლენას ვუახლოვდებით.

რა პოზიციას დაადგება საქართველოს სახელმწიფო გამიჯვნის საკითხში? არა გვგონია მოიძებნებოდეს დღეს ისეთი ქართველი, რომელმაც არსებულს პირობებში დაიცვას რეალი მოსახლეობის პრინციპი. გამოცდილებამ დაგვანახა, რომ თეორიულად შეთვისებული და პროგრამიდან უანალიზოდ გადმოტანილი „დემოკრატიზმი" არც თუ ისე საჭიროა სახელმწიფოს სიმტკიცისათვის, მით უმეტეს, როდესაც დემოკრატიზმის განხორციელებას ლამობენ სახელმწიფოში, გარს მოცულ იმპერიალისტური აზროვნებით გაჟღენთილ ხალხით. მთავარი მოსაზრება, რომლითაც ქართველი ერი უნდა ხელმძღვანელობდეს, არის საქართველოს სახელმწიფოს ინტერესი, მისი მდგომარეობის მყუდროება. ყოველივე სხვა შეხედულება დამღუპველი იქნება ჩვენი სახელმწიფოსათვის!

საინგილოს დათმობაზე შეუძლებელია ლაპარაკიც. მხოლოდ შეუგნებლობით და უვიცობით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ კუთხის შესახებ ქართველ საზოგადოებაში დღესაც ისმის სხვა და სხვა აზრი. ძნელია მოკლე პოლიტიკურ წერილში [illegible] შევეხოთ საინგილოს მნიშვნელობას საქართველოსათვის. ამ საკითხს ცალკე გამოკვლევა სჭირდება და ეს სპეციალისტებს დავუვალებთ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ გარდა ისტორიულ-პოლიტიკური მომენტისა, საინგილო ეკონომიურადაც შედუღებულია დანარჩენ საქართველოსთან. ეს ყოვლის მხრივ დოვლათიანი და ბარაქიანი ქვეყანა უდიდეს დახმარებას აღმოუჩენს ჩვენს ვაჭრობა-მრეწველობას და ეკონომიურად აღყვავებს საქართველოს. საინგილოს დაუშრეტელი სიმდიდრე კარგად იციან სხვებმაც, ამით აიხსნება, რომ ამ ქვეყანას ხარბი თვალით უცქერიან ყოვლის მხრიდან.

ეგრედ წოდებულ რეალ მოსახლეობის პრინციპის დამცველნი მოითხოვდნენ ამა თუ იმ პროვინციის სახელმწიფოსთან შეერთების საკითხში სახეში მიღებულიყოს მცხოვრებთა სურვილი, რაც გამოიხატება საყოველთაო ხმის მიცემით, ე. ი., რეფერენდუმით. მაგრამ დედა მიწის ზურგზე არ მოიპოვება სახელმწიფო ამ უცნაური საშუალებით შექმნილი, არც თვით სახელმწიფო უფლების მეცნიერება სთვლის რაციონალურად ამეთოდით სახელმწიფოების მოწყობას. საინგილოში შემოხიზნულთა და შემდგომ დასახლებულთა რიცხვი გაცილებით აღემატება მკვიდრ მცხოვრებლებს და რადგანაც ოლქის უმრავლესობას შეადგენენ შემოხიზნული ლეკები, ცხადია, რომ ისინი მოისურვებენ ერთმორწმუნე ხალხთან შეკავშირებას მთიულეთი იქმნება ის, თუ აზერბეიჯანი. ბევრი ადგილი შერჩება-კი საქართველოში საზოგადოთ, თუ რეფერენდუმი მოვახდინეთ სხვა და სხვა კუთხეში?

თუ საინგილოს საკითხი თანამედროვე ეთნოგრაფიული მოსახლეობის მიხედვით გადასწყდა, ამ მხარეს სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ, რადგანაც საქ

ლახოიანი...
ვარდოიანი...
აფშტრიფი...
სივენკო და
კაპიძე.

რა დამოკიდებულება იყო, ამ ორ ჯარს შორის ერთმანეთში?

არავითარი.

ეროვნული ჯარი ემორჩილება თავის შტაბს და გვარდიაც საკუთარს, ზოგჯერ ხან და ხან იბრძვიან, ან უკეთ რომ ვსთქვათ უკან იხევდენ გვერდით.

ერთი სიტყვით მოქმედებდენ როგორც მოკავშირეთა ჯარები.

უფრო ნაკლებ".

მოკავშირენი ერთმანეთს ითმენენ, მხოლოდ ცილნი კი ერთმანეთზე ღმუოდენ.

ჯარს ეგონა, რომ გვარდია აფუჭებს საქმეს.

გვარდიას ეგონა, რომ ჯარი აფუჭებს საქმეს.

რომელია მათში მართალი ვისაც უნდა იმან განსაჯოს, მაგრამ მე ვიცი, რომ კვინიტაძის ჯარს არ ჰქონდა არც თოფი, არც ცხენი და არც ფული.

ჯუღელის ჯარს თოფიც ჰქონდა, ცხენიც და ფულიც.

კინძდამ მიიღო ხუთი მილიონი, რომელიც მისმა შტაბმა გამოიანგარიშა თავის საჭიროებისათვის, რომ ახვერლოვს არ დაჰკლებოდა ტყვიის მფრქვეველების საწყობში ტყვიის მფრქვეველები, რომ

პანჯაძეს საკმაოდ ჰქონოდა იარაღი და

კოგინოვს—სურსათი.

ეხლა უთუოდ ეს ფული რესპუბლიკის ჯარს მოხმარდება. მაგრამ უწინ ეს ასე იყო და ესე ნუღარ იქნება.

ლ. ჯაფარიძე.

სომხური პრესა

საქართველოს სომხობის ორგანიზაციის გაზეთ „ჰორიზონი" (№ 111) აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერები და მათ შორის სომხებიც მოქალაქობრივ და პოლიტიკურ სწორუფლებიანობით ისარგებლებენ. მაგრამ უფლება ცარიელ სიტყვად დარჩება, თუ თვით დაინტერესებულმა ერებმა არ იზრუნეს მათ განხორციელებაზე შესაფერი ორგანიზაციების შექმნით.

სომხობაც უნდა შეკავშირდეს, მაგ. სკოლის საკითხის მოსაწესრიგებლად. სომხეთის ახალი მთავრობა ვერ მიაცლის იმ საქმეებისათვის, რომელიც ჩვენთვისაა საჭირო და არც ფულება ექნება ჩაერიოს იმ საქმეთა მოწესრიგებაში, მას მხოლოდ დახმარება შეუძლია.

„დრო მიდის, ის ჩვენ არ გვიცდის. ყოველდღეს, სანამ ჩვენ შეუკავშირებელი ვართ, დიდი ზარალი და ვნება მოაქვს ჩვენთვის. ამისათვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა უფლებამოსილი ორგანიზაციებად დარაზმვა. საქართველოს სომხობა მთელი დაუყოვნებლივ განახორციელოს ეს საქმე".

მართლია სულ მოკლე ხანმა განვლო, რომ უფროს ძმათა მზრუნველობას მოკლებული ინგილონი მთლად გადაგვარდნენ. მაგრამ, საფიქრებელია, რომ მეზობელ ერებთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ტერიტორიის გადაცემა-გადმოცემის შესახებ კი არა, არამედ განსაკუთრებით საზღვრების შესწორებაზე. ადერბეიჯანისა, მთიულეთისა, თუ სომხეთისათვის დასათმობი ერთი მტკაველი მიწაც არ მოგვეძებნება ჩვენს ტერიტორიაზე! ყოველის მხრივ შევიწროებული საქართველო ვერ იარსებებს სახელმწიფოებრივად. ქიზიოს მსგავს საზღვრებში ვერ მოვათავსებთ ქართველ ერს, რომ შეძლება არა ჰქონდეს სახსრების განძლიერებისა. საინგილოში ჩვენს სახელმწიფო საზღვრებს მომეტებულად სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება, ამიტომ იგი ჩრდილოეთით უნდა მიადგეს ასეთს ბუნებრივ სიმაგრეს, როგორიც არის ჟალდატხილი, აღმოსავლეთით კი საზღვრად დაუდგება ისტორიული ადმინისტრატიული მიჯნა—„ყანიხ—ყობ"-ი („სისხლის ღელე"), რომელიც უტყუარ მოწმეა საქართველოს ლაშქრის თავდადებული ბრძოლისა [illegible] სადიდებლად და შემდგომ მის [illegible] სამხრეთ-დაღესტნის მიმართულებით...

ეროვნულ საბჭოს წინაშე ამ ჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის საზღვრების გადამიჯვნა, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული ჩამოყალიბება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ საკითხის გადამწყვეტნი ქართველი ერის წარმომადგენელნი ყოველივე ღონისძიებას მიჰმართავენ და მოსაზღვრე სახელმწიფოებთან ისეთს ხელშეკრულებას დასდებენ, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს მიანიჭებს საშუალებას დაუბრკოლებლივ განავითაროს ერის ინდივიდუალური თვისებანი და შესაფერად გამოიყენოს მისი სახელმწიფოებრივი ცოდნა და გამოცდილება.

რ. ინგილო.

ომი

დასავლეთის ფრონტზე.

ბერლინი. ივნისის 10. **კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი.** არასისა და ალბერტის შუა ძლიერი საარტილერიო ბრძოლა, განსაკუთრებით მკაცრ ხასიათს იღებს სომისა და ჰავრის სანაპიროთი. მზვერავნი მკვირცხლად განაგრძობენ მოქმედებას.

გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი. ძლიერი იერიშით ჩვენ [illegible] ნუაიონის სამხრეთ-დასავლეთით მთიანს ადგილებში. მაცის დასავლეთით ფრანგებს წავართვით პოზიციების მორეილის და ორვილერის მახლობლად, უკვე გადავლახეთ კურბის და რესონსიურგს. აციის აღმოსავლეთით ჰერის მაღლობები ჩავიგდეთ ხელთ. მიუხედავად იმისა, რომ სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდნენ, ჩვენმა ქვეითა ჯარმა დაიპყრა გზა რიკებურგისა და ლამოტის შუა და მარეილის აქეთ ვაკე. ლასინის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ღრმად შევიჭერით ტყეში. ფრანგთა ძლიერი კონტრიერიში მოგერიებულია. ხელთ ვიგდეთ 8 ათასი ტყვე და ბევრი სამხედრო იარაღი. უაზისა და რეიმსის ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. მდ. ენის ჩრდილოეთით, შატო-ტიერის ჩრდილო-დასავლეთით და ვილერის მახლობლად რაოდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ.

ბრძოლა ჰაერში: გუშინდელ დღეს 37 მტრის ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ და 6 დაბმული ჰაეროსტატი. ლეიტენანტმა კროლმა მე 27 და მე 28 ჯერ გაიმარჯვა, ლეიტენანტმა უდეტმა მე 27-ჯერ, ხოლო ლეიტენანტ ტრიტტემ მე 23 ჯერ.

ბერლინი. 10 ივნისი. ნუაიონის სამხრეთ-დასავლეთით კვლავ გავიმარჯვეთ ფრანგთა ახლად მოსულ ჯარებთან ბრძოლაში.

იტალიის ფრონტი.

ვენა. 10 ივნისი. ოფიციალურად კაპონილეთან მტრებმა იერიშები მიიტანა, მაგრამ ყოველგან უკუგდებულ იქმნა. ჩვენმა საზღვაო ესკადრამ გუშინ თერეში ტრევიზოსა და ტრონდებელ ლუნას ჰიდროპლანებიდან და მრავალი ყუმბარა ჩამოჰყარა. შენიშნული იყო, რომ ბევრგან დანიშნულებას მიაღწია აფეთქებამ. მტრის არტილერიამ ჩვენს ზურგს უკან მთელს დღეებს ცეცხლი გაუხსნა, მაგრამ ამით უფრო იტალიელი მშვიდობიანი მცხოვრებნი დაზარალდნენ, ვიდრე ჩვენ.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **ეროვნული საბჭო.** ეროვნული საბჭოს იურიდიულ კომისიის პრეზიდიუმში არჩეული არიან: თავმჯდომარედ გრიგოლ რცხილაძე, თავმჯდომარის ამხანაგათ—რაჟდენ არსენიძე, მდივნად—რაფიელ ივანიცკი.

◆ **მინისტრ პრეზიდენტმა** სთხოვა გერმანიის წარმომადგენელს გაუგზავნოს თავიდან საპოლიციოებლად ყოველგვარ საქმეებზე ურთიერთობა მთავრობის თავმჯდომარესთან იქონიოს და არა ცალკე მინისტრებთან.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** თბილისის საზ. და ჯარ.-დეპ. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა სახალხო უნივერსიტეტის მთელი ინვენტარი და ჩენილი ფულით ქალაქის თვითმართველობას გადასცა.

◆ **გ. ქუჩიშვილის დილა.** კვირას, 16 ივნის ქართულ კლუბში გაიმართება გ. ქუჩიშვილის დილა. ივანე გომართელი—ლექცია, ქუჩიშვილის ახალი პიესა, ვ. რუხაძე, გ. შინაკვეძელი და ვ. სათიაშვილი. ქურხულის სკრიპკა, ძმანი კავსაძენი—სიმღერები და სხვ. დასაწყისი დილის 12 საათზე.

◆ **შრომის სამინისტრომ** პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შეატყობინა, რომ სათბობი მასალის სიმცირის გამო ზოგიერთ სამრეწველოში მუშაობა შემცირდება.

◆ **„კავკასიის და მერკურ"-ის** და „აღმოსავლეთის ნავთსადენის" საზოგადოებათა და მუშებს შორის უთანხმოება შრომის სამინისტრომ უკანასკნელთა სასარგებლოდ გადასწყვიტა.

◆ **ქართულ გიმნაზიასთან** არსებულ უფასო სასადილოს გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის ა. მ. ხოშტარიას, რომელმაც შესწირა სასადილოს 1000 მან.

◆ **შრომის სამინისტროსთან** მეორე სხდომები თითქმის გერმანიის წარმომადგენელთა მონაწილეობით „გელზენკირხენის" მადაროების ადმინისტრაციის და მუშების შესათანხმებლად.

◆ **გერმანული ენა ქართველ ახალგაზრდობისთვის.** ქართველ ახალგაზრდა ინტელიგენციისათვის განზრახულია დაარსდეს გერმანულ ენის კურსები. ხელმძღვანელებად მოწვეულ იქმნებიან გერმანელები, ჩაწერა შეიძლება „საქართველოს" რედაქციაში დილის 10—2 საათამდის და საღამოს 6—7. დის. გალდიერ ფანიაშვილთან.

◆ **ქართულ ხელოვნების საზოგადოებაში** დღეს, 12 ივნისს, საღამოს 7 ს. ფრეილინის ქ. № 11 დანიშნულია საზოგადოების კრება, რომელზედაც ქართველის სათავაზიანო წარმომადგენელი დ. ი. ადუხაძე მოხსენებას წაიკითხავს ამიერ-კავკასიის სამთო საქმეების შესახებ. კრებაზე დასწრება ყველასათვის შეიძლება.

◆ **დამცველმა შტაბმა დაიპატიმრა:** კარის დაჭერისათვის—სამხედრო კავშირის ჯარისკაცი დემელია; პატრონების გაყიდვისათვის—1 ქართულ პოლკის ჯარისკაცი გ. ყანჩელი; სახაზინო ქონების დამალვისათვის ჯარისკაცი ვ. კაკაბაძე; სახაზინო ქონების მითვისებისათვის ჯარისკაცი ა. სალარიძე; ტრილისთვის ციხის მცველები დ. თულაშვილი და ა. სანებლიძე; 25000 მანეთის მაქრის გაყიდვისათვის და ფულის მითვისებისათვის სამხედრო დროის მოხელე ა. პეტროსიანცი.

◆ **სახალხო კომენდანტს** პოდპოლკ. ქარცივაძეს თბ. საზ. და ჯარ.-დეპ. საბჭოს აღმ. კომიტეტისაგან მოეწერილია მოუწიოს თანამდებობა დატოვებინონ. პოდპ. ქარცივაძე შეეკითხა სამხედრო მინისტრს როგორ მოიქცეს. სამხედრო მინისტრმა განუმარტა, რომ აღმასრულებელი კომიტეტი უკანონოდ მოიქცა, ვინაიდან სახალხო კომენდანტისთვის განკარგულება სამხედრო მინისტრის დაუკითხავად მიეცა. აღმასრულებელმა კომიტეტმა ამ საქმის გამოკვლევის შემდეგ შეატყობინა მთავრობას: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა სახელის დაცვა ჩაიბარა და ვიდრე ეს დადგენილება ძალაში დარჩება იგი თავის განკარგულებას კანონიერად სთვლის.

◆ **რაიონების კომიტეტების შეერთებული კრება.** ხუთშაბათს, 13 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მთავარი კომიტეტის ბინაზე მოხდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის ყველა რაიონების კომიტეტების შეერთებული კრება. განსახილველია ფრიად სერიოზული საკითხები.

◆ **მეორე რაიონის კრება.** პარასკევს, 14 ივნისს, საღამოს 6 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში მოხდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. შ. ქარუმიძე წაიკითხავს მოხსენებას: „სოციალიზმი და სოციალური რეფორმები".

◆ **ილია ჭავჭავაძის თხზულებათა** გამომცემლობის ანგარიში 1 იანვარს 1917 წლის იყო 1237 მ. 37 კ. მიმდინარე წლის 1 აპრილამდე შემოვიდა კიდევ 1115 მ. 75 კ. ამ ჟამად არის 2353 მ. 12 კ. ეს ფული ინახება მიმდინარე ანგარიშით ქართულ სამეურნეო ბანკში. ყველა დარჩენილი წიგნები გაიყიდა. არის მხოლოდ გამოცემის დიდი სურათები: 16 სურათი ღირს 5 მან.; სახალხო სკოლებს სურათები დაეთმობათ უფასოდ. მიმართვა: ყორღანოვის 20 ქ., 12—2 და 6—7 საათ. ყოველდღე კვირის გარდა.

პარტიული ცხოვრება.

შეერთებული სხდომა მთავარი კომიტეტის და ქ. თბილისის კომიტეტის საფინანსო და საორგანიზაციო სექციებისა გაიმართება დღეს, ოთხშაბათს, ივნისის 12, საღამოს 7 ს. მთავარი კომიტეტის ბინაზე.

პროვინციის ქრონიკა.

◆ **ფოთი.** ფოთის ნავთსადგურში მოვიდნენ გერმანიის ტრანსპორტი „ბვენფელი" და ამერიკული წყალქვეშა ნავები. რუსული ტრანსპორტი № 107 ეზიდება შავქვას გერმანულ გემების საზოგადოებისათვის. 1 ივნისიდან ჭიათურაში ყოველდღე იტვირთება 30 ვ. მიახლოებით მადანი ტარ. ჭიათურიდან შორაპნამდის ვაგონების დატვირთვა და დაცლა 20—25 მან. ღირს. შავი ქვის პატრონები სიამოვნებით იძლევიან ამდენ ფულს, რადგან უბედურება ის არის, რომ ვაგონები არ იშოვება. ფოთის საწყობებში დარჩენილი ქვა სულ გაზიდეს საზღვარგარეთ.

◆ **ს. ხარაგოულში** მცხოვრებმა განო ილარიონის თავის დროს მოკლა მილიციონერი ვანო მათიაშვილი, მკვლელი მიიმალა.

ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ჯარებისადმი

თბილისი. ივნისის 10. მთავრობის დადგენილების თანახმად ვბრძანებ: საქართველოს მთავრობის ყველა ჯარებში უნდა შემოღებულ იქნეს სამხედრო მისალმება როგორც სამსახურის დროს, ისე სამსახურის გარეშე, ამას გარდა პირველად უფროსი მოვალეა ხარისხით და წოდებით უფროს მიესალმოს. 2) იგივე წესი უნდა დაცულ იქნეს უცხო სახელმწიფოთა სამხედრო პირთა წინაშე, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის მიწა-წყალზე იმყოფებიან და სამხედრო ფორმის ატარებენ. 3) სამხედრო მისალმების ნიშნად მარჯვენა ხელი ქუდამდის უნდა მიიტანონ.

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების უფროსი გენ.-მაიორი კვინიტაძე.

გენ. გაბაშვილის გადადგომა სამსახურიდან

ამ დღეებში გენ. გ. დ. გაბაშვილმა მიატოვა ჯარის უფროსის თანამდებობა და დანიშნულ იქნა სამხედრო საბჭოში.

ძნელ დროს მოუწოდეს მას ქვეყნის და ერის სამსახურისათვის.

გარედან მადა გაღვიძებული მტერი ოსმალეთი და მტრულად განწყობილი მეზობლები,—შიგნით კი—შფოთი არეულ-დარევა, გაძარცვა და ანარქია. ხალხი არ გრძნობდა გასაჭირს და სოციალისტურ ბურუსში გახვეული არ უსმენდა შინდამი მიმართულ სამშობლოს დაცვის მოწოდებას.

ჩვენი შეიარაღებული ძალის მოწყობა თავიდანვე ყალბ ნიადაგზე იყო აგებული. ის პრინციპები, რომლებზედაც უნდა აეგოთ ჯარის ორგანიზაცია, თანამედროვე პირობებში ვერ გამოდგა. სხვა გონივრულ და ჯანსაღ პრინციპებით ხელმძღვანელობა არ მოისურვეს და ძლიერი ჯარის მაგივრად ჩვენს ქვეყანაში გაჩნდნენ განცალკევებული რაზმები, სუსტი და გაფუფუნებული... ნაშფოთი მეომრები, ყოფილი ჯარის კაცები სოფლებში რჩებოდნენ და ჯარში კი მოხალისეები და ჰაჭუკები ეწერებოდნენ. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა მიმდინარე წლის თებერვლის ბოლომდე.

ეროვნულ საბჭოს მიერ დანიშნული გენ. გაბაშვილი დიდის ენერგიით შეუდგა ჯარის დალაგების საქმეს, ახალი ნაწილების შედგენას, მათს მოწყობას, შეიარაღებას. წინდაზრობა და გაბატონებული პოლიტიკური ჯგუფები მას ცალმხრივ ხმარებას არ უწევდნენ, ზოგჯერ შეიარაღების საქმეს თითქმის აფუჭებდნენ.

ჯარის პოლიტიკის გარეშე დგომის მომხრე გენ. გაბაშვილი თვით გამოვიდა იმ პარტიიდან, რომელსაც ეკუთვნოდა და მოუწოდებდა ოფიცრებს და ჯარისკაცებს ხელი აეღოთ პარტიულ ინტერესებზე და ერთი იდეით გამსჭვალულიყვნენ, სამშობლოს დაცვის იდეით.

ოსმალების შემოტევამ გენ. გაბაშვილს თავი დაანებებინა ჯარის მოწყობას და ის ფრონტისაკენ გაეშურა... თუმცა ჩვენი ჯარი ოსმალების ჯართან შედარებით მოუმზადებელი და უღონო იყო, მაგრამ გენ. გაბაშვილის გამოცდილებამ, ენერგიამ და ჯარის შტაბის ხელმძღვანელობამ საპატიოთ მიაყვანეს საქმე ფრონტზე და თითქმის გამარჯვების იმედიც ჩნდებოდა... მთავრობამ კი არჩია დიპლომატიური მოლაპარაკებით გადაეწყვიტა საქმე მტერთან... აწოდებული ხმალი ძირს დაუშვით და გარეშე მოსახმარებს მიეცემოდით... გენ. გაბაშვილის ცოდნა დღევანდელ პირობებში ჯარის დალაგება საჭიროებული იქნება ჩვენი ჯარის მოწყობისათვის, ვინაიდან ხელი ჯარისა არ დაივიწყებს თავის ყოფილს სარდალს და მადლობით მოიხსენიებს მის სახელს, როგორც სამშობლოს ერთგულ ოფიცერს, ცოდნიერისა და შეუპოვარის სიმშვიდის...

ა. ჭ.

კავკასიის ტრაგედია

ოდესის გაზეთ „ოდესკია ნოვოსტი"-ში მოთავსებულია წერილი „კავკასიის ტრაგედიის" სათაურით, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: მტრად შემოჭრილები ახლები მიიღო ამიერ-კავკასიის კომისარიატმა სამშობლო კავკასიიდან: ოსმალების 40 ათასი ჯარი გარს შემორტყმია მოქანცულ კავკასიის მეომრებს. სწრაფად გაცდა განკარგულება გაიწვიონ ჯარში მამაკაცნი 60 წლამდის. მაგრამ ტყუილი წინ დაისწრაფის. ადერბეჯანის რაზმები და მალე ოსმალები შევიდნენ ქუთაისში. მცხოვრებლები ოსმალების მოახლოებაზე გარბიან. ბაქოში ოსმალებმა თავის ერთმორწმუნე მუსულმანების შემწეობით მოაწყვეს ულტა არა მუსულმან მცხოვრებლების და იქ ეხლა სწარმოებს ჯოჯოხეთური სამოქალაქო ომი. ამიერ კავკასიის მთავრობასთან ადგილობრივმა და აგრეთვე კიევის კომისარიატებმა ვერას გზით ვერ აღადგინეს კავშირი. კიევის კომისარი ვაჩნაძე და ოდესის—ბარათაშვილი მოწყვეტილი არიან თავის ცენტრს. კიევში სცადეს მოეწყოთ კავშირი კავკასიასთან ჰაეროპლანების შემწეობით, მაგრამ ბოლოს საქმე შეჩერდა, ვინაიდან შეუძლებელი გახდა საჭირო მანძილზე სადგურების მოწყობა".

გამოხმაურება

ამგვარი დასკვნა და სარწმუნოდაც ასე იქნება, რომ სომხეთი და ადერბეიჯანი შეუთანხმდნენ ოსმალეთს, საქართველოს ხარჯით მოაწყონ თავისი სახელმწიფოები. ყოველ თვალსაჩინოდ ადამიანისათვის ეს წინდაწინვე აშკარა იყო და არის, მაგრამ ამის თქმას ჩვენი მთავრობა შოვინისტობად და კონტრ-რევოლუციონურ გამოსვლად ჩასთვლის, რასაკვირველია. საფრთხე კი დიდია მეტად. დღევანდელი სამთავრობო ზავი ხომ ზავად არ ჩაითვლება—ეს არის ორი დღის შესვენება ფარისეული ამბების წინაშე და ოსმალეთის იმპერიალისტები ისეთსავე პოლიტიკას წარმოებას დაიწყებენ, როგორსაც აწარმოებდნენ და აწარმოებენ რუსეთის იმპერიალისტები. ერთადერთი ჯანსაღი, და არა მარტო ტრადიციის, არამედ უნარის მქონეც სახელმწიფოებრივ ძლიერების შექმნისათვის ამიერ კავკასიაში არის ქართველი ერი და სწორედ მის წინააღმდეგ იბრძოდა და იბრძვის რუსეთის მთავრობა (ცხრაჯერაც რომ გამოიცვალოს) და როგორც სჩანს იმისავე წინააღმდეგ იბრძოლებს ოსმალეთი. ამის ნიშნები უკვე არის და ჩვენს მთავრობას სიფხიზლე ჰმართებს რეალური და არა რევოლუციონურ სოციალისტური ფრაზეოლოგიით გაძღოლა ქვეყნისა. ოსმალეთის მადას დღეს საქართველოს მიწა-წყალი ძალიან უღვივებს ეხლაც ამისათვის ის ცდილობს, გაამაგროს სომხებს და იქნება სხვა და სხვა კომბინაციების საშუალებით რეალურადაც დაეხმაროს ჩვენთან ბრძოლაში; შესაძლებელია ასევე მოიქცეს ის ადერბეიჯანშიც. და როცა ამგვარად დაგვ-

სუსტებს, სხვისი ხელით ნარს მოგლეჯავს, სომხეთს გააცამტვერებს და ჩვენც სიკეთეს არ მოგვიტანს. სომხების ხელმძღვანელები, როგორც ისტორიაც და ახლო წარსულიც გვიჩვენებს (ამ ომში ნამეტნავად)—ამყოლი ხალხია; თვისი რისამე შექმნა არ შეუძლიათ, ამის სახელმწიფოებრივი უნარი მათ არ აქვთ—მაგრამ სხვისი წახდენისა კი დიდი. გაიხსენეთ სომხების ბრძოლა ოსმალეთის დამხობისათვის, მათი მოქმედება საქართველოსა და ადერბეიჯანში და თქვენ დარწმუნდებით რომ მათ დიდი ვნების მოტანა შეუძლიათ, და მით, რასაკვირველია, თავისთავისაც ვერაფერს გააკეთებენ. დაშნაკცაკანთა პარტიამ მთლად დაღუპა თავისი საკუთარი ერი და ახლა სხვის დაღუპვასაც არ მოერიდება, რადგან ეს არის მათი საფერო მოქმედებისა—აღმშენებლობა კი არ შეუძლიათ.

ამიტომ ვაფრთხილებთ მთავრობას ნუ აჰყვება ცრუმორწმუნეობასავით მოდებულ რევოლუციონურ და დემოკრატიულ ფრაზეოლოგიას და საღი გონებით, თვალხილული და მტკიცე ზომების მიღებით დახვდეს მოახლოვებულ საფრთხეს, რომელსაც ოსმალეთი გვიმზადებს სომხების ხელით. ასევე საჭიროა სიფხიზლე ადერბეიჯანთან და მასთან შეთანხმება, თუ კი ეს შესაძლო იქნა, და დავიწყება ირაკლი წერეთელის ფანტაზიებისა, რომ ქართველ ერს ამიერ კავკასიაში მტრები არა ჰყავს და ეს შედეგია სოციალ დემოკრატიის ინტერნაციონალურ მოქმედებისა. პირ იქით, საქართველოს მოყვრები არა ჰყავს და ეს ბრალია იმ ინტერნაციონალურ ლითაიებისა, რომლის საშუალებით ჩვენ დავსუსტდით იმდენად რომ ყველა გამვლელ-გამომვლელი ჩვენს სამშობლოში ხელებს აფათურებს. ეხლა მაინც ფხიზლად ვიყვნენ, ფხიზლად.

რ. გ.

უცხოეთი

უკრაინაში

კიევში—იქაური გაზეთების ცნობით—განდევნეს გლეხთა ყრილობა, რადგან, როგორც გამოირკვა, მტრული განწყობილებით უყურებდა ყრილობა უკრაინის გეტმანს სკოროპადსკის.

—

თითქმის მთელს უკრაინაში დაკეტილია ყველა სოციალისტური გაზეთები. მუშათა ორგანიზაციებმა ბეჭდვითი სიტყვის დევნის გამო სასტიკი პროტესტი განაცხადეს.

—

განდევნილია ყველა დემოკრატიული საბჭოები და ახალი საერობო დაწესებულებანი. ამის გამო ზოგიერთ პროვინციებში მღელვარება სწარმოებს.

—

ბელგოროდში დახვრიტეს ქალაქ ობოიანის კომისარი გერმანელ ჯარის კაცთა მკვლელობის ორგანიზაციის მოწყობისთვის.

—

კიევში გარეკეს „ბუნდის" მთავარი კომიტეტი. თავმჯდომარე კომიტეტის ბერნშტეინი დაატუსაღეს.

—

გეტმან სკოროპადსკის წინააღმდეგ ყირიმიდან გამოწვეულ უკრაინელთა ჯარს გერმანელებმა იარაღი აჰყარეს. ამ ჯარის მეორე ნაწილი იკრიბება რადის გარშემო. ხელმეორედ გასალაშქრებლად.

—

ხარკოვში გახშირდა სოციალისტების დახვრეტა და დატუსაღება. გერმანელების წინააღმდეგ პროპაგანდისათვის.

—

უკრაინის სფეროებში დაიბადა აზრი შემოიკრიბონ კიევის გარშემო, როგორც რუსეთის მიწა-წყლის დედაქალაქთან: დიდი, პატარა და თეთრი რუსეთი.

კორესპონდენცია

სოფ. სართიჭალიდან

ს. სართიჭალა (გარე-კახეთი) წელს პურის მოსავალს კარგი პირი უჩანს, მაგრამ ღვინის მოსავალი კი გაცრუვდა, რადგან შარშანდელმა ნასეტყვმა ვენახებმა წელს არაფერი მოისხეს. თივის მოსავალიც კარგია, მაგრამ აქაური მეხრეების თავ-გასულობას ბოლო არა აქვს, ისინი საქონელს აბდენინებენ როგორც პურის მოსავალს, ისე სათიბ ბალახსაც, მომეტებულ თავ-გასულობით ნასახლდათრები იქცევიან. გადუკიდებით ვინტოვკები და თუ ვინმე რასმეს უტყვის, ვაი იმის ბრალი, ლანძღვით უმასპინძლდებიან, თუ დაეჭირდებათ, თოფსაც მოუღერებენ: ვინ არის მათთვის ან კომისარი და სხვა? არც შიში, არც სირცხვილი და არც შეგნება. ამასობაში იღუპება სოფლის პირნახული.

აგრედვე აუწერილია იქაური შემნახველ-გამსესხებელი კასის და კოოპერატიული ვაჭრობის საქმე. მეორე წელიწადი მიდის ანგარიშებისა არა ვიცით რა, ალბად ინსპექტორებსაც გადაავიწყდათ თავიანთი მოვალეობა.

ნიკო ბარძიმაშვილი.

ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების

სენაკის განყოფილების ანგარიში 1 იანვარი 1918 წ.

შემოსავალი

წინა წლის ნაშთი 1057 მ. 64 კ., საწევრო 94 მ., შემოწირულება 40 მ., მთავრობის სესხი 9992 მ, სხვა და სხვა 20 მ., პეტროგრადის ქართულ საზოგად. 300 მ., საღამოებისაგან 250 მ., სულ 11753 მან 64 კაპ.

გასავალი

ომისაგან დაზარალებულთ 274 მ. 50 კ., სკოლებს 150 მ., საკანცელარიო 80 მ., რწმუნებულთ 50 მ., მოსამსახურეებს 45 მ., დახმარება სხვა და სხვა პირს 386 მ., ჯარის კაცთა ოჯახებს 120 მ., დამწვრულთა და გარდამოხვეწილთ 9751 მ., კასაში ფულად 897 მ. 14 კ. სულ 11753 მ. 64 კაპ.

გამგეობა.

სახელმწიფო თეატრი

კვირას, 16 ივნისს, ქართველ მსახიობთა კავშირი, დამსახურებულ მსახიობის

ვიქტორ გამყრელიძის

30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართავს

სადღესასწაულო წარმოდგენას

წარმოდგენილი იქნება

I

პატარა კახი

აკაკისა. მესამე მოქმედება.

II

რაც გინახავს, ვეღარ ნახავ

ა. ცაგარლისა. მეორე მოქმ.

III

არიფ დარია

ზ. გუნიასი. ვოდ. 1 მოქმედებად.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბილეთები იყიდება „ძმურ ნუგეშში" და სახელმწიფო თეატრის კასაში.

პატრონის ავადმყოფობის გამო

იყიდება მშვენიერი ბიბლიოთეკა და 25 წლის განმავლობაში, მთელს რუსეთში და კავკასიაში ცნობილი მეღვინეობისთვის მოწყობილი მეურნეობა და ამერიკულ ვაზის ნამყენები

კლო-უგურულის

ფირმისა (ქუთაისში)

ხსენებული ფირმა დაჯილდოვებულია 35 მედლით. ყველა ჯილდოთი ისარგებლებს თვითონ მყიდველი 1—1

დღეს ოთხშაბათს, თიბათვის 12-ს სამეურნეო ბანკში გაიმართება ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისში მცხოვრებ წევრ

ქალთა კრება

ყველა ჩვენის პარტიის ქ. თბილისში მცხოვრებ წევრ ქალებს და თანამოაზრეებსაც ევალებათ კრებაზე დასწრება. ასარჩევია ქალთა ორგანიზაციის გამგეობა. კრება კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა. დასაწყისი საღამოს სწორედ 7 საათზე.

კვირას, 16 ივნისს, დილის 10 საათზედ დანიშნულია „ახალ საკრებულო"-ს წევრთა საზოგადო

წლიური კრება

განსახილველი საგნები: 1. 1917 წ. ანგარიში. 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3. მამასახლისთა საბჭოს არჩევნები. 4. სარევიზიო კომისიის წევრთა, კლუბის წევრთა და კანდიდატთა არჩევნები. 4—1

პარასკევს, 14 ივნისს, საღამოს 6 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში მოხდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მე-II რაიონის წევრთა

საზოგადო კრება

ზ. ქარუმიძე წაიკითხავს მოხსენებას: „სოციალიზმი და სოციალური რეფორმები". 3—1

საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტურგენევის ქ., № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში.

საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს თავის წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ ხუთშაბათს 13 თიბათვეს, საღამოს 5 საათზე მე-III მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში (ტურგენევის ქუჩა, № 4) დანიშნულია საერთო კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენება ომისა და ზავის შესახებ. 3—2

სამეურნეო ნაწარმოებთა გამსაღებელი და მეურნეობისათვის საჭირო მასალის შემძენი

კოოპერატივთა კავშირი

აუწყებს ყველა კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებს, აგრეთვე სოფლის მეურნეთ და კერძო პირებს, რომ კავშირი მიიღებს საკომისიო წესით გასასაღებლად სამეურნეო ნაწარმოებთ (ხორბალი, ფქვილი, შილი, შეში, თამბაქო, ღვინო, მატყლი და სხვა) მცხოვრებთათვის საჭირო და სამრეწველო ფაბრიკატებს, როგორც ბითუმად (პარტიობით) ასევე წვრილ-წვრილად. კავშირის კანტორა იმყოფება მოსკოვის ქუჩა № 4. ტელ. 6—22

3—1650—3

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ თბილისის

ორგანიზაციის გამგეობისაგან

ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოხდა პარტიულ საქმის რეორგანიზაცია ქალაქში. ნაცვლად წინანდელის დანაწილებისა უბნებად, რომელიც დღეიდან მოსპობილად ითვლება, ქ. თბილისი დანაწილებულია ოთხ რაიონად სახელდობრ:

I რაიონი—მტკვრის ზევითა მხარე საბურთალოდან და ვაკედან დაწყებული მოსკოვის ქუჩამდე და ვერის დაღმართამდე.

II რაიონი—მტკვრის ზევითა მხარის დანარჩენი ნაწილი—მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვ.

III რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან მოკიდებული დიდუბემდე და ნაძალადევამდე.

IV რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან ორთაჭალამდე.

თბილისის მცხოვრებ პარტიის წევრებს ევალებათ დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო სარაიონო კომიტეტისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აეკრძალებათ.

თბილისის კომიტეტის ბიურო იმყოფება მთავარი კომიტეტის ბინაზე, (სასახლის ქუჩა, № 5, ტელეფ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე, 10—დ 2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

სამკურნალო

სამხედრო სპეციალისტ-ექიმების—გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

დიდ ბანკის ქუჩა № 8. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელ. № 481.

ექიმი ასათიანი—ყელის, ყურის და ცხვირის. ყოველდღე 12—1 საათამდის.
ექ. ახმეტელიანი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 11—12 ს.
ექ. ბილდანიძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 10—11 ს.
ექ. ჩუბინოვსკი—ნერვების, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკეობით 12—1 საათ.
ექ. ერმოლაევი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 1—2 ს.
ექ. ბოჟომსკი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 12—1 ს.
ექ. გაშჩენკო—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველ დღე საღ. 3—4 ს.
ექ. სურომსკი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველ დღე 4—5 ს.
ექ. მიინაც—თვალების ავადმყოფობის. ორშ., ოთხშ. და პარასკეობით 2—3 ს.
ექ. ივანოვი—თვალების ავადმყოფ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით 2—3 ს.
ექ. ყალამქაროვი—ქალთა და საშვებით. ყოველდღე 1—2 ს.
ექ. ნიკიცკი—ქალთა და საშვებით. ყოველდღე 2—3 საათ.
ექ. ქალი ოსხელიანი. ქალთა და საშვებით. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 11—12 ს.
ექ. ქალი ფირალოვა—ქალთა და საბავშვო სამშაბათობით, ხუთშაბათობით შაბათობით და კვირაობით. 11—12 ს.
ექ. შამაში—ქირურგიული (დასტაქარი). ყოველდღე 11—12 საათზე.
ექ. ფირალოვი—ქირურგი. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე.
ექ. ბარნაბა-ტრომცკაია—სადასტაქრო ავადმყოფ. ყოველდღე 2—3 საათ.
ექ. ცანდერი—სადასტაქრო ავადმყოფ. ყოველდღე 4—5 საათ.
ექ. ძიძილია—კანის და ვენერიულ ავადმყოფობის. ყოველდღე 12—1 ს.
ექ. არხნეიმი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფობის 4—5 საათ.
კბილის ექ. ალიხანოვი—ყოველდღე 10—12 საათ.
კბილის ექ. ნურალოვი—ყოველდღე 3—5 ს.

ოპერაციები მორიგებით, კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ანალიზი, ჰიპნოზი, მოსამსახურეთა და ძიძების გასინჯვა, სათვალების შერჩევა. ფასი დარიგებისათვის 1 მ. 50 კ. 100—100

ექიმი,

მ. ო. ზანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოტერაპით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

სამკურნალო კაბინეთი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვებისათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

უპოვარ ავადმყოფთათვის ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

სავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნის" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

ექიმი

დონხინი

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასისტენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს

დილის 10—12 ს. საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76. (აიკინის კბილის საექიმო).

ტელეფონი 7—38.

ექიმი

მ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბელ-მონდის" პირდაპირ.

თ—1018—46

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

თ—1536—38

სტამბა „ცხოვრება" [illegible] [illegible] შესახვევი № 4.